

1. ვისგან შედგება საქართველოს მთავრობა?

- ა. პრემიერმინისტრისგან და პარლამენტის თავმჯდომარისგან;
- ბ. მთავრობა შედგება პრემიერმინისტრისა და მინისტრებისგან;**
- გ. პრემიერმინისტრისგან, პრეზიდენტისგან და მინისტრებისგან;
- დ. პრემიერმინისტრისგან, პარლამენტის თავმჯდომარისგან და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან.

სწორი პასუხია: ბ

2. რომელ პირებს ეზღუდებათ წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარალოდ შეკრების უფლება?

- ა. არასრულწლოვან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.
- ბ. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებს;
- გ. პირებს, რომლებიც მსახურობენ საჯარო სამსახურში, მათ შორის, თავდაცვის ძალების შემადგენლობაში;
- დ. პირებს, რომლებიც იმყოფებიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში;**

სწორი პასუხია: დ

3. შეუძლია თუ არა საქართველოს მოქალაქეს, დატოვოს ქვეყნის ტერიტორია?

- ა. საქართველოს მოქალაქეებს საქართველოდან გასვლისთვის სჭირდებათ სასამართლოს ნებართვა;
- ბ. საქართველოს მოქალაქეებს საქართველოდან გასვლისთვის სჭირდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვა;
- გ. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება;**
- დ. საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ უცხოელებს.

სწორი პასუხია: გ

4. ვის შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება?

- ა. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია პრეზიდენტს;
- ბ. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს;**
- გ. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია საქართველოს სახალხო დამცველს;
- დ. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

სწორი პასუხია: ბ

5. ვინ ამტკიცებს საქართველოს მთავრობას?

- ა. საქართველოს უზენაესი სასამართლო ამტკიცებს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით;
- გ. საქართველოს პარლამენტი ნდობას უცხადებს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას;
- დ. საქართველოს მოსახლეობა პირდაპირ ირჩევს საქართველოს მთავრობას.

სწორი პასუხია: გ

6. საქართველოს კონსტიტუციით, ვისი უფლებები უნდა დაიცვას სახელმწიფომ?

- ა. ყველა ადამიანის;
- ბ. მხოლოდ კაცების;
- გ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების;
- დ. მხოლოდ ქალების.

სწორი პასუხია: ა

7. როგორ მოიპოვება საქართველოს მოქალაქეობა?

- ა. დაბადებით;
- ბ. ნატურალიზაციით.
- გ. მემკვიდრეობით;
- დ. დაბადებით და ნატურალიზაციით;

სწორი პასუხია: დ

8. საქართველოს კონსტიტუციით, შეიძლება თუ არა საქართველომ თავისი მოქალაქე გააძევოს საქართველოდან?

- ა. კი, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დასაშვებია, თუ საქართველოს მოქალაქე ჩაიდენს დანაშაულს;
- ბ. არა, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;
- გ. კი, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დასაშვებია, თუ საქართველოს მოქალაქე დაარღვევს კანონს;
- დ. არა, ჯერ მას საქართველოს მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას.

სწორი პასუხია: ბ

9. ვინ მეთაურობს საქართველოს მთავრობას?

- ა. პარლამენტის თავმჯდომარე;
- ბ. პრემიერმინისტრი და პრეზიდენტი;
- გ. პრემიერ-მინისტრი;
- დ. მეფე.

სწორი პასუხია: გ

10. დასაშვებია თუ არა ადამიანისთვის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა?

- ა. დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით;
- ბ. დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა;
- გ. დასაშვებია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- დ. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.

სწორი პასუხია: ა

11. სჭირდებათ თუ არა ადამიანებს წინასწარი ნებართვა საჯაროდ და უიარაღოდ შეკრებისთვის?

- ა. სჭირდებათ მხოლოდ უცხოელებს;
- ბ. სჭირდებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნებართვა;
- გ. სჭირდებათ პოლიციის ნებართვა;
- დ. არ სჭირდებათ.

სწორი პასუხია: დ

12. ვინ არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი?

- ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტი;
- გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- დ. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

სწორი პასუხია: ბ

13. ვინ ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს?

- ა. საქართველოს პარლამენტი;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტი;
- გ. საქართველოს მთავრობა;
- დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სწორი პასუხია: ა

14. რა არის საქართველო?

- ა. მონარქია;
- ბ. დემოკრატია;
- გ. დემოკრატიული რესპუბლიკა;
- დ. კონსტიტუციური მონარქია.

სწორი პასუხია: გ

15. ვინ არის სახელმწიფო ხელისუფლების წყარო?

- ა. თბილისში მცხოვრები ხალხი;

- ბ. საქართველოს პარლამენტის წევრები;
- გ. ორგანიზაციები;
- დ. ხალხი.

სწორი პასუხია: დ

16. საქართველოს კონსტიტუციით, შესაძლებელია თუ არა ადამიანის წამება?

- ა. კი, ტერორიზმის საფრთხის შემთხვევაში;
- ბ. არა, არცერთ გარემოებაში;
- გ. კი, ტერორიზმის საფრთხის შემთხვევაში და სხვათა სიცოცხლის დაცვის მიზნით;
- დ. კი, ომის პერიოდში.

სწორი პასუხია: ბ

17. შესაძლებელია თუ არა პარლამენტის სხდომის დახურვა?

- ა. არავითარ შემთხვევაში;
- ბ. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ყველა სხდომა დახურულია;
- გ. შესაძლებელია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადება;
- დ. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით.

სწორი პასუხია: გ

18. რომელ უწყებას აქვს ფულის ემისიის უფლება?

- ა. ფინანსურ პოლიციას.
- ბ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს;
- გ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს;
- დ. საქართველოს ეროვნულ ბანკს;

სწორი პასუხია: დ

19. არის თუ არა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო?

- ა. კი, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა;
- ბ. არა, ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია;
- გ. არა, ის რუსეთის შემადგენლობაშია;
- დ. არა, ის სახელმწიფო არ არის.

სწორი პასუხია: ა

20. დაასახელეთ საქართველოს უზენაესი კანონი:

- ა. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის;
- ბ. საქართველოს კონსტიტუცია;

- გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- დ. საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს შესახებ.

სწორი პასუხია: ბ

21. საქართველოს კონსტიტუციით, რა არის ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა?

- ა. 21 დღე;
- ბ. 6 თვე;
- გ. 2 წელიწადი;
- დ. 9 თვე.

სწორი პასუხია: დ

22. როდის არის შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილება აუცილებელი?

- ა. **თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამომრავო ადგილას იმართება;**
- ბ. არასდროს;
- გ. თუ შეკრება ღია ცის ქვეშ იმართება;
- დ. თუ შეკრება დახურულ სივრცეში იმართება.

სწორი პასუხია: ა

23. შესაძლებელია თუ არა ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც ომის ან ძალადობის პროპაგანდას ეწევა?

- ა. კი, თუ ის იქმნება საქართველოს მოქალაქეების მიერ;
- ბ. კი, თუ ის იქმნება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ;
- გ. **არავითარ შემთხვევაში;**
- დ. კი, თუ ომის და ძალადობის რეალური საფრთხე სინამდვილეში არ არსებობს.

სწორი პასუხია: გ

24. რომელი სქესის მოქალაქეებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

- ა. მხოლოდ ქალებს;
- ბ. არცერთს.
- გ. მხოლოდ კაცებს;
- დ. **ქალებს და კაცებს თანაბრად;**

სწორი პასუხია: დ

25. ვისი თანხმობით შეიძლება სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა?

- ა. არავითარ შემთხვევაში;
- ბ. **საქართველოს პარლამენტის თანხმობით;**
- გ. საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით;
- დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით.

სწორი პასუხია: ბ

26. შეიძლება თუ არა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება?

- ა. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება შეიძლება მეზობელ სახელმწიფოსთან შეთანხმებით;
- ბ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში;
- გ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია;
- დ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება დასაშვებია საერთაშორისო აუქციონის გზით.

სწორი პასუხია: გ

27. რა ეწოდება საქართველოს სახელმწიფოს?

- ა. რესპუბლიკა;
- ბ. საქართველოს მონარქია;
- გ. საქართველოს სამეფო;
- დ. საქართველო.

სწორი პასუხია: დ

28. შესაძლებელია თუ არა კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება?

- ა. დაუშვებელია.
- ბ. შესაძლებელია საომარი მდგომარეობის დროს;
- გ. შესაძლებელია კონსტიტუციური კანონის საფუძველზე;
- დ. შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმით ასე გადაწყდა;

სწორი პასუხია: ა

29. ვინ შეიძლება მიუსაჯოს ადამიანს თავისუფლების აღკვეთა?

- ა. პოლიციამ;
- ბ. მხოლოდ სასამართლომ;
- გ. სასამართლომ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, სპეციალურმა კომისიამ;
- დ. პროკურატურამ.

სწორი პასუხია: ბ

30. ვინ აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას?

- ა. საქართველოს პარლამენტი;
- ბ. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი;
- დ. საქართველოს სახალხო დამცველი.

სწორი პასუხია: ა

31. ვინ დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან?

- ა. საქართველოს პარლამენტი;
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი;
- დ. საქართველოს პრემიერმინისტრი.

სწორი პასუხია: გ

32. შეიძლება თუ არა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შეცვლა?

- ა. არავითარ შემთხვევაში;
- ბ. შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით;
- გ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო სხვა სახელმწიფოს დაიპყრობს;
- დ. შეიძლება მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოს მიერ საქართველოში ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში.

სწორი პასუხია: ბ

33. საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფომ უნდა შექმნას თუ არა განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის?

- ა. დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არასრულწლოვნები არიან;
- ბ. არა;
- გ. დიახ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვს;
- დ. დიახ.

სწორი პასუხია: დ

34. როდის უნდა განემარტოს დაკავებულ პირს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი?

- ა. დაკავებისთანავე;
- ბ. სასამართლოში წარდგენისთანავე;
- გ. დაკავების ადგილას გადაყვანისთანავე;
- დ. 48 საათის გასვლის შემდეგ.

სწორი პასუხია: ა

35. შეიძლება თუ არა, ადამიანი ორჯერ დაისაჯოს ერთი და იმავე დანაშაულისთვის?

- ა. კი, თუ ის ორი ქვეყნის მოქალაქეა;
- ბ. არა;
- გ. კი, თუ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი მსუბუქია;
- დ. კი, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

სწორი პასუხია: ბ

36. ვის წინაშე არის მთავრობა ანგარიშვალდებული?

- ა. საქართველოს პრეზიდენტის წინაშე;
- ბ. საქართველოს პრემიერმინისტრის წინაშე;
- გ. საქართველოს პარლამენტის წინაშე;
- დ. საქართველოს მოქალაქეების წინაშე.

სწორი პასუხია: გ

37. როგორ მონაწილეობს სამართალწარმოებაში პირი, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის?

- ა. ასეთი პირები სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მათი ახლობლების და მეგობრების დახმარებით.
- ბ. პირი თავად იქნება ვალდებული, დაიქირაოს თარჯიმანი;
- გ. ასეთი პირები ვერ მიიღებენ მონაწილეობას სამართალწარმოებაში;
- დ. მას მიეჩინება თარჯიმანი;

სწორი პასუხია: დ

38. როგორ ცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილება?

- ა. მიღებიდან 1 წელიწადში;
- ბ. მხოლოდ მხარეებისთვის;
- გ. საქვეყნოდ;
- დ. მხოლოდ წერილობით.

სწორი პასუხია: გ

39. ვინ ირჩევს საქართველოს გენერალურ პროკურორს?

- ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ბ. საქართველოს პარლამენტი;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი;
- დ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.

სწორი პასუხია: ბ

40. როდის შეუძლია დაკავებულ პირს მოითხოვოს ადვოკატის დახმარება?

- ა. დაკავებისთანავე;
- ბ. სასამართლოში წარდგენისთანავე;
- გ. არასდროს;
- დ. გამოძიების დაწყებისთანავე.

სწორი პასუხია: ა

41. საქართველოს კონსტიტუციით, შესაძლებელია თუ არა ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვა?

- ა. არა, არცერთ გარემოებაში;
- ბ. დიახ, კერძო კომპანიების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- გ. **დიახ, მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.**
- დ. დიახ, მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად;

სწორი პასუხია: გ

42. ვის აქვს ადამიანის დაკავების უფლება?

- ა. ნებისმიერ ადამიანს;
- ბ. **კანონით უფლებამოსილ პირს;**
- გ. მღვდელს;
- დ. არავის.

სწორი პასუხია: ბ

43. ვის შეუძლია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლა?

- ა. **ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში;**
- ბ. მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებს;
- გ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს;
- დ. მხოლოდ პოლიციელებს.

სწორი პასუხია: ა

44. რა შემთხვევაში შეიძლება რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვა?

- ა. არავითარ შემთხვევაში;
- ბ. მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სიტყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად;
- გ. **მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით;**
- დ. მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი კამათის თავიდან ასაცილებლად.

სწორი პასუხია: გ

45. შესაძლებელია თუ არა მოქალაქეობის ჩამორთმევა?

- ა. კი, როცა ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს;
- ბ. **არავითარ შემთხვევაში;**
- გ. კი, როცა ადამიანი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს ჩაიდენს;
- დ. კი, როცა ადამიანი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს.

სწორი პასუხია: ბ

46. რა ასაკიდან შეიძლება აირჩეს საქართველოს პარლამენტის წევრი?

- ა. 25 წლიდან;
- ბ. 21 წლიდან;
- გ. 18 წლიდან;
- დ. 30 წლიდან.

სწორი პასუხია: ა

47. შესაძლებელია თუ არა საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს?

- ა. შესაძლებელია, თუ პრეზიდენტმა დანაშაული ჩაიდინა;
- ბ. შესაძლებელია, თუ ამას ხალხი ითხოვს;
- გ. დაუშვებელია;
- დ. შესაძლებელია, თუ პრეზიდენტი თავად არ გადადგა.

სწორი პასუხია: გ

48. რა იურიდიული ძალა აქვს საქართველოში საერთაშორისო ხელშეკრულებას?

- ა. საერთაშორისო ხელშეკრულებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს კონსტიტუციის მიმართ;
- ბ. საერთაშორისო ხელშეკრულებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ყველა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ;
- გ. მას საერთოდ არ აქვს იურიდიული ძალა საქართველოში;
- დ. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას.

სწორი პასუხია: დ

49. რა ტიპის განათლება არის საქართველოში სავალდებულო?

- ა. უმაღლესი განათლება სავალდებულოა;
- ბ. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა;
- გ. არანაირი განათლება არ არის სავალდებულო;
- დ. სკოლამდელი განათლება არის სავალდებულო.

სწორი პასუხია: ბ

50. რას ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმფცია?

- ა. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება არ გამოცხადდება;
- ბ. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება მედიაში გავრცელებული ინფორმაციით;

- გ. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით;
- დ. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე გამოძიება დაიწყება.
- სწორი პასუხია: გ**

51. შესაძლებელია თუ არა საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, თუ მან იმ სახელმწიფოში ჩაიდინა დანაშაული?

- ა. დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ბ. საქართველოს სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქე ყველა შემთხვევაში უნდა გადასცეს სხვა სახელმწიფოს;
- გ. შესაძლებელია გადაცემა მხოლოდ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით;
- დ. შესაძლებელია გადაცემა მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

სწორი პასუხია: ა

52. რამდენი წლით აირჩევა საქართველოს სახალხო დამცველი?

- ა. 3 წლით;
- ბ. 6 წლით;
- გ. 5 წლით;
- დ. 4 წლით.

სწორი პასუხია: ბ

53. რა შემთხვევაში შეიძლება პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრევა?

- ა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
- ბ. პრეზიდენტის თანხმობით;
- გ. პარლამენტის თანხმობით;
- დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სწორი პასუხია: გ

54. რამდენ ამომრჩეველს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

- ა. არანაკლებ 500 000 ამომრჩეველს;
- ბ. ამომრჩეველს საერთოდ არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.
- გ. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს;
- დ. არანაკლებ 25 000 ამომრჩეველს;

სწორი პასუხია: დ

55. ვის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე?

- ა. სასამართლოს თავმჯდომარეს;
- ბ. არავის;
- გ. საქართველოს პრეზიდენტს;
- დ. საქართველოს პრემიერმინისტრს.

სწორი პასუხია: ბ

56. საქართველოს კონსტიტუციით, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის?

- ა. **უნდა იზრუნოს სამშობლოსთან მათი კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე;**
- ბ. არაფერი;
- გ. უნდა იზრუნოს მათ დასაქმებაზე;
- დ. უნდა გამართოს მათთვის მიღება და კონცერტი წელიწადში ერთხელ.

სწორი პასუხია: ა

57. საქართველოს კონსტიტუციით, რა სახის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით?

- ა. არანაირ საქმეს;
- ბ. ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებს;
- გ. **ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს;**
- დ. საქართველოს კონსტიტუცია ამ საკითხს არ განსაზღვრავს.

სწორი პასუხია: გ

58. რა ენაზე ხორციელდება სამართალწარმოება საქართველოში?

- ა. ინგლისურ ენაზე;
- ბ. **სახელმწიფო ენაზე;**
- გ. ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე;
- დ. ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სწორი პასუხია: ბ

59. საქართველოს კონსტიტუციით, ვის არ აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება?

- ა. **პირებს, რომლებიც იმყოფებიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების შემადგენლობაში;**
- ბ. მეძუძურ დედებს;
- გ. არასრულწლოვან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს;
- დ. საჯარო მოხელეებს.

სწორი პასუხია: ა

60. სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფ რომელ საქართველოს მოქალაქეებს არ აქვთ არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება?

- ა. ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს;
- ბ. მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს;
- გ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს;
- დ. ქურდობის დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს.

სწორი პასუხია: გ

61. საქართველოს კონსტიტუციით, ვინ არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური?

- ა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტი;
- გ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- დ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სწორი პასუხია: ბ

62. როდის არის საქართველოს კონსტიტუცია მიღებული?

- ა. 1995 წლის 24 აგვისტოს;
- ბ. 1921 წლის 25 აგვისტოს;
- გ. 1991 წლის 9 აპრილს;
- დ. 1918 წლის 26 მაისს.

სწორი პასუხია: ა

63. ვის აქვს უფლება, დაიკავოს საჯარო თანამდებობა?

- ა. წარმოშობით ქართველ საქართველოს მოქალაქეებს;
- ბ. მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წევრებს;
- გ. საქართველოს ყოველ მოქალაქეს;
- დ. მხოლოდ კაცებს.

სწორი პასუხია: გ

64. როგორ აფინანსებს სახელმწიფო ზოგად განათლებას?

- ა. ნაწილობრივ;
- ბ. მხოლოდ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განათლებას აფინანსებს;
- გ. საერთოდ არ აფინანსებს;
- დ. სრულად.

სწორი პასუხია: დ

65. შეიძლება თუ არა, საქართველოს მოქალაქეს უარი ეთქვას ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე?

- ა. კი, თუ ვიზა არ აქვს;
- ბ. არა, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში;
- გ. კი, თუ მისი დეპორტაცია მოხდა;
- დ. კი, თუ მოქალაქემ სასაზღვრო პოლიციას ვერ დაუმტკიცა საქართველოში დაბრუნების მიზეზი.

სწორი პასუხია: ბ

66. ვის წინაშე არის ანგარიშვალდებული ეროვნული ბანკი?

- ა. მთავრობის წინაშე;
- ბ. ქართველი ხალხის წინაშე;
- გ. პარლამენტის წინაშე;
- დ. პრეზიდენტის წინაშე.

სწორი პასუხია: გ

67. ჩამოთვლილთაგან რა ეკრძალება მოსამართლეს?

- ა. პოლიტიკური პარტიის წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა;
- ბ. ოჯახის შექმნა;
- გ. არჩევნებში ხმის მიცემა ;
- დ. აკადემიური საქმიანობა.

სწორი პასუხია: ა

68. რა ვადით განწესდება მოსამართლე თანამდებობაზე?

- ა. 20 წლით;
- ბ. 10 წლით;
- გ. 100 წლით;
- დ. უვადოდ.

სწორი პასუხია: დ

69. საქართველოს კონსტიტუციით, რა არის საქართველოს სახელმწიფო ენა?

- ა. ინგლისური და ქართული;
- ბ. ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური;
- გ. ქართული, აფხაზური, ოსური და რუსული;
- დ. რუსული, ინგლისური, სომხური და აზერბაიჯანული.

სწორი პასუხია: ბ

70. ვის შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება?

- ა. მხოლოდ პრეზიდენტს;
- ბ. მხოლოდ სახალხო დამცველს;
- გ. მხოლოდ სასამართლოს;
- დ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

სწორი პასუხია: გ

71. ვინ უცხადებს ნდობას საქართველოს მთავრობას?

- ა. პარლამენტი;
- ბ. ხალხი;
- გ. პრეზიდენტი;
- დ. პრემიერმინისტრი.

სწორი პასუხია: ა

72. საქართველოს კონსტიტუციით, უწყობს თუ არა მოქალაქეს ხელს სახელმწიფო დასაქმებაში?

- ა. არა, ეს მხოლოდ მოქალაქის ვალდებულებაა;
- ბ. დიახ, სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში;
- გ. არა, დასაქმება კერძო სექტორის ვალდებულებაა;
- დ. დიახ, სახელმწიფო ხელს უწყობს არასრულწლოვან მოქალაქეებს დასაქმებაში.

სწორი პასუხია: ბ

73. სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება:

- ა. მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში;
- ბ. პრეზიდენტის თანხმობით;
- გ. არავითარ შემთხვევაში;
- დ. მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

სწორი პასუხია: დ

74. შეიძლება თუ არა, საქართველომ თავისი მოქალაქე გააძევოს საქართველოდან?

- ა. კი, თუ ის ჩაიდენს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ;
- ბ. კი, თუ ამას გაერო მოითხოვს;
- გ. არა, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;
- დ. კი, თუ მას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც გააჩნია.

სწორი პასუხია: გ

75. საქართველოს კონსტიტუციით, ვინ მეთაურობს საქართველოს მთავრობას?

- ა. პრეზიდენტი;
- ბ. პრემიერმინისტრი;
- გ. მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- დ. მეფე ან დედოფალი.

სწორი პასუხია: ბ

76. რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანისთვის რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა?

- ა. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით;
- ბ. თუკი შეზღუდვა კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი მორალური ღირებულებების დასაცავად ხორციელდება;
- გ. დასაშვებია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- დ. თუკი შეზღუდვა კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით ხორციელდება.

სწორი პასუხია: დ

77. რა ტიპის წინასწარი ნებართვა სჭირდებათ ადამიანებს საჯაროდ და უიარაღოდ შეკრებისთვის?

- ა. საერთოდ არ სჭირდებათ;
- ბ. სჭირდებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნებართვა, რომელიც გაცემულია 1 თვით ადრე;
- გ. სჭირდებათ პოლიციის ნებართვა, რომელიც გაცემულია 1 კვირით ადრე;
- დ. წინასწარი ნებართვა სჭირდებათ მხოლოდ ქალებს.

სწორი პასუხია: ა

78. რა ასაკიდან აქვთ საქართველოს მოქალაქეებს უფლება, კენჭი იყარონ მეფის არჩევნებზე?

- ა. 40 წლიდან;
- ბ. მეფის არჩევნები მხოლოდ საუკუნეში ერთხელ ტარდება და ასაკს მნიშვნელობა არ აქვს;
- გ. მეფის არჩევნები საერთოდ არ ტარდება;
- დ. 60 წლიდან.

სწორი პასუხია: გ

79. საქართველოს კონსტიტუციით, ვის ეწოდება საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი?

- ა. საქართველოს თავდაცვის მინისტრს;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტს;
- გ. საქართველოს პრემიერმინისტრს;
- დ. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს.

სწორი პასუხია: ბ

80. რამდენ წელიწადში ერთხელ ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტს?

- ა. 2 წელიწადში ერთხელ;
- ბ. პარლამენტი საერთოდ არ ამტკიცებს ბიუჯეტს;
- გ. წელიწადში ორჯერ;
- დ. ყოველწლიურად.

სწორი პასუხია: დ

81. ვინ აწერს ხელს კანონებს?

- ა. კანონპროექტის ავტორი;
- ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი;
- დ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სწორი პასუხია: გ

82. საქართველოს კონსტიტუციით, ვინ არის სახელმწიფო ხელისუფლების წყარო?

- ა. ეკლესია;
- ბ. ხალხი;
- გ. საქართველოს პრეზიდენტი;
- დ. საქართველოს პარლამენტის წევრები.

სწორი პასუხია: ბ

83. საქართველოს კონსტიტუციით, შესაძლებელია თუ არა ადამიანისთვის არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი სასჯელის შეფარდება?

- ა. კი, ომის პერიოდში.
- ბ. კი, ტერორიზმის საფრთხის შემთხვევაში;
- გ. კი, ტერორიზმის საფრთხის შემთხვევაში და სხვათა სიცოცხლის დაცვის მიზნით;
- დ. არა, არცერთ გარემოებაში;

სწორი პასუხია: დ

84. შეიძლება თუ არა, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა?

- ა. არა;
- ბ. კი;
- გ. კი, თუ მეორე მოქალაქეობის ქვეყანა საფრანგეთია;
- დ. კი, თუ მეორე მოქალაქეობის ქვეყანა რუსეთია.

სწორი პასუხია: ა

85. პარლამენტის რომელი სხდომის ოქმები არის საჯარო?

- ა. პარლამენტის ყველა სხდომის ოქმი საჯაროა;
- ბ. არცერთი;
- გ. პარლამენტის ღია სხდომების ოქმები საჯაროა;
- დ. პარლამენტის სხდომების ის ოქმები არის საჯარო, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს საჯაროდ.

სწორი პასუხია: გ

86. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი უწყება აკეთებს ფულის ემისიას?

- ა. საქართველოს სავაჭრო პალატა;
- ბ. საქართველოს ეროვნული ბანკი;
- გ. ფულის მუზეუმი;
- დ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

სწორი პასუხია: ბ

87. ჩამოთვლილთაგან რომელია საქართველოს უზენაესი კანონი?

- ა. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის;
- ბ. საქართველოს კანონი უზენაესი სასამართლოს შესახებ;
- გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- დ. საქართველოს კონსტიტუცია.

სწორი პასუხია: დ

88. საქართველოს კონსტიტუციით, რამდენ თვეს არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა?

- ა. 9 თვეს;
- ბ. 19 თვეს;
- გ. 6 თვეს;
- დ. 2 თვეს.

სწორი პასუხია: ა

89. როდის შეიძლება დაწესდეს შეკრების შესახებ წინასწარი გაფრთხილება?

- ა. თუ შეკრება სკოლაში იმართება;
- ბ. არ შეიძლება ასეთი გაფრთხილების დაწესება არავითარ შემთხვევაში;
- გ. თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამომდრაო ადგილას იმართება;
- დ. თუ შეკრება რესტორანში იმართება.

სწორი პასუხია: გ

90. რომელი უწყება ზედამხედველობს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას?

- ა. საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ბ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- გ. კომერციული ბანკები;
- დ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სწორი პასუხია: ბ

91. შეუძლიათ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს, ისარგებლონ დედაენით?

- ა. არა, საქართველოს მოქალაქეებმა მხოლოდ სახელმწიფო ენით უნდა ისარგებლონ;

- ბ. საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, ისარგებლონ დედაენით, ოღონდ მხოლოდ პირად ცხოვრებაში;
- გ. საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ;
- დ. საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, ისარგებლონ დედაენით, ოღონდ მხოლოდ საჯაროდ.

სწორი პასუხია: გ

92. საქართველოს კონსტიტუციით, შესაძლებელია თუ არა კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება?

- ა. დაუშვებელია;
- ბ. შესაძლებელია, თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა;
- გ. შესაძლებელია, თუ კონსტიტუცია ასე გაითვალისწინებს;
- დ. შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება შეიცვალა.

სწორი პასუხია: ა

93. ვინ შეიძლება მიუსაჯოს ადამიანს თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა?

- ა. სასამართლომ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, სპეციალურმა კომისიამ;
- ბ. მხოლოდ სასამართლომ;
- გ. პროკურატურამ;
- დ. პოლიციამ.

სწორი პასუხია: ბ

94. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, შეუძლია თუ არა საქართველოს მოქალაქეს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა?

- ა. არა, მან უნდა იცხოვროს იქ, სადაც დაიბადა;
- ბ. არა, მან უნდა იცხოვროს იქ, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ;
- გ. დიახ, შეუძლია;
- დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ადგილი საკუთრებაში ექნება.

სწორი პასუხია: გ

95. რა უფლებამოსილებები აქვს საქართველოს პრეზიდენტს საგარეო ურთიერთობებში?

- ა. არანაირი;
- ბ. ხვდება და აცილებს უცხო ქვეყნების ოფიციალურ დელეგაციებს;
- გ. ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში და ამისთვის მას არავის თანხმობა არ სჭირდება;
- დ. მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში.

სწორი პასუხია: დ

96. შეიძლება თუ არა პარლამენტის წევრად აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა?

- ა. კი;
- ბ. არა;
- გ. კი, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა არის 5 წლამდე;
- დ. კი, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა არის 2 წლამდე.

სწორი პასუხია: ბ

97. საქართველოს კონსტიტუციით, როდის უნდა განემარტოს დაკავებულ პირს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი?

- ა. დაკავებისთანავე;
- ბ. არავითარი განმარტება აუცილებელი არ არის;
- გ. დაკავების ადგილას გადაყვანისთანავე;
- დ. დაკავებიდან დაახლოებით 3 საათში.

სწორი პასუხია: ა

98. ვინ ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს?

- ა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
- ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- გ. პარტიები, ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- დ. საქართველოს პრეზიდენტი.

სწორი პასუხია: დ

99. რომელი სასამართლო არის უფლებამოსილი, განიხილოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი?

- ა. არცერთი;
- ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- დ. თბილისის სააპელაციო სასამართლო.

სწორი პასუხია: გ

100. საქართველოს კონსტიტუციით, რომელ თვეში ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები?

- ა. თვე განსაზღვრული არ არის;
- ბ. ოქტომბერში;
- გ. სექტემბერში;
- დ. მაისში.

სწორი პასუხია: ბ

101. ვის ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა?

- ა. არავის;
 - ბ. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს;
 - გ. ყველას, ვისაც სურს ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა;
 - დ. **ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.**
- სწორი პასუხია: დ

102. არის თუ არა აუცილებელი სასამართლოში საკუთარი უფლებების დასაცავად ადვოკატის აყვანა?

- ა. არა, თუ თავად ადვოკატი ხართ;
 - ბ. კი, აუცილებელია;
 - გ. **არა, ყველას აქვს უფლება, სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით;**
 - დ. არა, თუ საქმე განსაკუთრებულად რთული არ არის.
- სწორი პასუხია: გ

103. როდის შეუძლია დაკავებულ პირს, მოითხოვოს ადვოკატის დახმარება?

- ა. **დაკავებისთანავე;**
 - ბ. სასამართლოში წარდგენისთანავე;
 - გ. მისი უფლებების შესაძლო დარღვევის აღმოჩენისთანავე;
 - დ. დამოკიდებულია გამომძიებლის სურვილზე.
- სწორი პასუხია: ა

104. საქართველოს კონსტიტუციით, აქვთ თუ არა ადამიანებს უფლება, დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ?

- ა. არა, არცერთ გარემოებაში;
 - ბ. **კი, ადამიანებს აქვთ უფლება, დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;**
 - გ. კი, თუ გარემოს მდგომარეობა კარგია;
 - დ. კი, თუ ისინი დაასაბუთებენ ამ ინფორმაციის მიღების საჭიროებას.
- სწორი პასუხია: ბ

105. რა ეტაპამდე ითვლება ადამიანი უდანაშაულოდ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?

- ა. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადის გასვლამდე;
 - ბ. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მედიაში გამჟღავნებამდე;
 - გ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე;
 - დ. **კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მისი დამნაშავეობის დამტკიცებამდე.**
- სწორი პასუხია: დ

106. რა შემთხვევაში აქვს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა?

- ა. როცა კანონის დარღვევით მტკიცებულებას მოიპოვებს პოლიცია;
- ბ. როცა კანონის დარღვევა ლეგიტიმურია;
- გ. **არცერთ შემთხვევაში;**
- დ. როცა მტკიცებულება კანონის დარღვევით კი არის მოპოვებული, მაგრამ ძალადობა არ არის გამოყენებული.

სწორი პასუხია: გ

107. საქართველოს კონსტიტუციით, ვის აქვს გენერალური პროკურორის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება?

- ა. **პარლამენტს;**
- ბ. საქართველოს პრეზიდენტს;
- გ. საქართველოს პრემიერმინისტრს;
- დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

სწორი პასუხია: ა

108. რომელი უწყება განიხილავს და წარუდგენს დასკვნას პარლამენტს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხთან დაკავშირებით?

- ა. საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- ბ. **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;**
- გ. საქართველოს სახალხო დამცველი;
- დ. საქართველოს მთავრობა.

სწორი პასუხია: ბ

109. ვის აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება?

- ა. მხოლოდ პარლამენტის წევრებს და ფრაქციებს;
- ბ. მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს.
- გ. მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 100000 ამომრჩეველს;
- დ. **მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 25000 ამომრჩეველს;**

სწორი პასუხია: დ

110. აქვს თუ არა უფლება პარლამენტის წევრს, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას?

- ა. რა თქმა უნდა, აქვს უფლება;

- ბ. არა, თუ სამეწარმეო საქმიანობა ნავთობის მოპოვებას არ ეხება;
- გ. არა, ეს პირდაპირ არის აკრძალული საქართველოს კონსტიტუციით;
- დ. არა, თუ სამეწარმეო საქმიანობას წარმატებით უთავსებს პარლამენტის წევრის ფუნქციებს.

სწორი პასუხია: გ

111. რა შემთხვევაში არის დაშვებული სიკვდილით დასჯა საქართველოში?

- ა. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია;
- ბ. ადამიანის სიცოცხლე დაცულია, თუმცა სიკვდილით დასჯა დასაშვებია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის;
- გ. ადამიანის სიცოცხლის უფლების შეზღუდვა დასაშვებია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- დ. ადამიანის სიცოცხლის უფლების შეზღუდვა დასაშვებია პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე საომარ პერიოდში.

სწორი პასუხია: ა

112. დასაშვებია თუ არა საქართველოს მოქალაქისთვის საკუთრების ჩამორთმევა?

- ა. დაუშვებელია საქართველოს მოქალაქისთვის საკუთრების ჩამორთმევა;
- ბ. საქართველოს მოქალაქისთვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით;
- გ. საქართველოს მოქალაქისთვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- დ. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია.

სწორი პასუხია: დ

113. რა ასაკიდან აქვთ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებსა და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება?

- ა. 16 წლიდან;
- ბ. 21 წლიდან;
- გ. **18 წლიდან;**
- დ. 25 წლიდან.

სწორი პასუხია: გ

114. რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი?

- ა. **150;**
- ბ. 345;
- გ. 100;
- დ. 50.

სწორი პასუხია: ა

115. ვინ არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური?

- ა. საქართველოს პრემიერმინისტრი;
- ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- გ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
- დ. საქართველოს პრეზიდენტი.

სწორი პასუხია: დ

116. რომელია საქართველოს სახელმწიფო ენა?

- ა. ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური;
- ბ. ქართული;
- გ. ქართული, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში - აგრეთვე ოსური;
- დ. ქართული და რუსული.

სწორი პასუხია: ა

117. საქართველოს დედაქალაქია:

- ა. მცხეთა;
- ბ. თბილისი და მცხეთა;
- გ. თბილისი;
- დ. ქუთაისი.

სწორი პასუხია: გ

118. საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია:

- ა. 1921 წლის 25 აგვისტოს;
- ბ. **1995 წლის 24 აგვისტოს;**
- გ. 1991 წლის 9 აპრილს;
- დ. 1918 წლის 26 მაისს.

სწორი პასუხია: ბ

119. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შესრულებული აქვს:

- ა. **40 წელი;**
- ბ. 30 წელი;
- გ. 18 წელი;
- დ. 21 წელი.

სწორი პასუხია: ა

120. მოსამართლე შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შესრულებული აქვს:

- ა. 21 წელი;

ბ. 18 წელი;

გ. 28 წელი;

დ. 30 წელი.

სწორი პასუხია: დ

121. რომელი სახელმწიფო ორგანო ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე?

ა. აუდიტის სამსახური;

ბ. არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“;

გ. საქართველოს სახალხო დამცველი;

დ. საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სწორი პასუხია: გ

122. რა შემთხვევაში შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება?

ა. მხოლოდ კონსტიტუციის დარღვევის საფუძველით;

ბ. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით;

გ. მხოლოდ მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით;

დ. მნიშვნელოვან კანონპროექტზე ვეტოს დადების შემთხვევაში.

სწორი პასუხია: ბ

123. ვისი სახელით გამოაქვს სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. საქართველოს სახელით;

ბ. იმ ქალაქის სახელით, სადაც სასამართლო მდებარეობს;

გ. მოსამართლის სახელით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოაქვს;

დ. სასამართლოს სახელით.

სწორი პასუხია: ა

124. ვინ ნიშნავს მინისტრებს?

ა. ხალხი ნიშნავს მინისტრებს;

ბ. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს;

გ. პარლამენტი ნიშნავს მინისტრებს;

დ. პრემიერმინისტრი ნიშნავს მინისტრებს.

სწორი პასუხია: დ

125. საჯარო მოხელე შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შესრულებული აქვს:

ა. 30 წელი;

ბ. 18 წელი;

გ. 21 წელი;

დ. 28 წელი.

სწორი პასუხია: გ

126. საქართველოს სახელმწიფო რელიგია არის:

ა. არცერთი;

ბ. ისლამი;

გ. ბუდიზმი;

დ. მართლმადიდებლური ქრისტიანობა.

სწორი პასუხია: ა

127. ვის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად?

ა. საქართველოს ყველა მოქალაქეს;

ბ. ყველა ადამიანს;

გ. მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

დ. მხოლოდ მამაკაცებს.

სწორი პასუხია: ბ

128. რა პრინციპის საფუძველზე ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება?

ა. პრინციპის გარეშე;

ბ. ერთპიროვნული მმართველობის პრინციპის საფუძველზე;

გ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე;

დ. ჰუმანიზმის პრინციპის საფუძველზე.

სწორი პასუხია: გ

129. საქართველოს კონსტიტუციით, შესაძლებელია თუ არა ადამიანისთვის საკუთრების ჩამორთმევა?

ა. კი, თუ ადამიანი 80 წელს გადაცილებულია;

ბ. კი, სასჯელის ფორმით, თუ ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა;

გ. კი, თუმცა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის;

დ. კი, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

სწორი პასუხია: დ

130. აქვთ თუ არა საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს პოლიტიკური საქმიანობა შეზღუდული?

- ა. კი, სახელმწიფო უფლებამოსილია, კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა;
 - ბ. არა, მათ აბსოლუტური თავისუფლება აქვთ;
 - გ. კი, თუმცა სახელმწიფო მხედველობაში იღებს მათ განათლების დონეს;
 - დ. არა, მის შესაზღუდად საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება.
- სწორი პასუხია: ა**

131. ვრცელდება თუ არა ადამიანის უფლებები იურიდიულ პირებზე?

- ა. კი, ადამიანის უფლებები ვრცელდება არასამეწარმეო იურიდიულ პირებზე;
- ბ. არა, ადამიანის უფლებები იურიდიულ პირებზე საერთოდ არ ვრცელდება;
- გ. კი, ადამიანის უფლებები ვრცელდება სამეწარმეო იურიდიულ პირებზე;
- დ. ადამიანის უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

სწორი პასუხია: დ

132. საქართველოს კონსტიტუციით, უნდა მიიღოს თუ არა სახელმწიფომ განსაკუთრებული ზომები მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად?

- ა. არა, ეს სახელმწიფოს მოვალეობა არ არის;
- ბ. დიახ, კონსტიტუცია ამას ითვალისწინებს;
- გ. არა, ეს შეუძლებელია;
- დ. არა, ამისათვის ადამიანებმა თავად უნდა იზრუნონ.

სწორი პასუხია: ბ

133. როდის შეიძლება სამხედრო სასამართლოს შემოღება?

- ა. საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში;
- ბ. არასდროს;
- გ. საგანგებო მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში;
- დ. ყოველთვის.

სწორი პასუხია: ა

134. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა არის საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდება?

- ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;
- ბ. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა;
- გ. საქართველო;
- დ. საქართველოს კონსტიტუციური მონარქია.

სწორი პასუხია: გ

135. ვინ ზედამხედველობს საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას?

- ა. საქართველოს სახალხო დამცველი;
- ბ. თბილისის ზედამხედველობის სამსახური;
- გ. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური;**
- დ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სწორი პასუხია: გ

136. საქართველოს კონსტიტუციით, არის თუ არა დაშვებული ცენზურა?

- ა. **არა, ცენზურა დაუშვებელია;**
- ბ. კი, სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- გ. კი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობით;
- დ. კი, ცენზურის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

სწორი პასუხია: ა

137. რამდენი წლით აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი?

- ა. 10 წლით;
- ბ. **5 წლით;**
- გ. 4 წლით;
- დ. 6 წლით.

სწორი პასუხია: ბ

138. ვინ წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს?

- ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
- გ. **საქართველოს პრეზიდენტი;**
- დ. საქართველოს პრემიერმინისტრი.

სწორი პასუხია: გ

139. შესაძლებელია თუ არა საქართველოს მოქალაქის გაძევება საქართველოდან?

- ა. **არა, საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;**
- ბ. კი, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე;
- გ. კი, თუ იგი ქვეყნის ეროვნულ ღირსებას შელახავს;
- დ. კი, თუ გადასახადებს თავს აარიდებს.

სწორი პასუხია: ა

140. რამდენი მოსამართლისგან შედგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო?

- ა. 3 მოსამართლისგან;
- ბ. 15 მოსამართლისგან;
- გ. 17 მოსამართლისგან;
- დ. **9 მოსამართლისგან.**

სწორი პასუხია: დ

141. საქართველოს კონსტიტუციით, რა ტიპის განათლება არის საქართველოში სავალდებულო?

- ა. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა;
- ბ. უმაღლესი განათლება სავალდებულოა;
- გ. არანაირი განათლება არ არის სავალდებულო;
- დ. მეორე უმაღლესი განათლება არის სავალდებულო.

სწორი პასუხია: ა

142. რით დასტურდება, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?

- ა. საქართველოს კონსტიტუციით;
- ბ. 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით
- გ. ბიბლიით;
- დ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით.

სწორი პასუხია: ბ

143. რომელი წლის მდგომარეობით არის საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრული?

- ა. 1995 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით;
- ბ. 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით;
- გ. 1991 წლის 9 აპრილის მდგომარეობით.
- დ. 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

სწორი პასუხია: დ

144. რის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუცია?

- ა. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციების;
- ბ. 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციის;
- გ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის;
- დ. ლეონტი მროველის “ქართლის ცხოვრების.”

სწორი პასუხია: გ

145. ვის წინაშე ცხადდება საქართველოს კონსტიტუცია?

- ა. ქართველი ხალხის წინაშე;
- ბ. ღვთისა და ქვეყნის წინაშე.
- გ. ღვთის წინაშე;
- დ. საქართველოს სახელმწიფოს წინაშე.

სწორი პასუხია: ბ

146. შესაძლებელია თუ არა საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა?

- ა. შესაძლებელია, განსაკუთრებულ შემთხვევაში;
- ბ. დაუშვებელია;
- გ. შესაძლებელია თუ პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა დაუჭერს მხარს;
- დ. შესაძლებელია ომის და საგანგებო მდგომარეობის დროს.

სწორი პასუხია: ბ

147. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ვინ შეიწყალებს მსჯავრდებულებს?

- ა. საქართველოს პრემიერმინისტრი;
- ბ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
- გ. შეწყალების კომისიის წევრები;
- დ. საქართველოს პრეზიდენტი.

სწორი პასუხია: დ

148. საჭიროებს თუ არა თანახელმოწერას საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის შესახებ?

- ა. დიახ, საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელწერას;
- ბ. არ საჭიროებს;
- გ. დიახ, საჭიროებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის თანახელწერას ;
- დ. დიახ, საჭიროებს პარლამენტის თავმჯდომარის თანახელწერას.

სწორი პასუხია: ბ

149. რამდენი მოსამართლე შედის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში?

- ა. 9;
- ბ. 30;
- გ. 11;
- დ. 28.

სწორი პასუხია: დ

150. ვინ და რა წესით ირჩევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს?

- ა. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით;
- ბ. უზენაესი სასამართლოს წევრთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი;
- გ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით;
- დ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

სწორი პასუხია: ბ

151. შეიძლება თუ არა საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნას მოქალაქე, რომელსაც საქართველოში 5 წელი უცხოვრია?

- ა. არა, 15 წელია მაინც უნდა ეცხოვრა;
- ბ. კი, 5 წელი მაინც თუ უცხოვრია;
- გ. არა, 10 წელი მაინც უნდა ეცხოვრა;
- დ. არა, 13 წელი მაინც უნდა ეცხოვრა.

სწორი პასუხია: ა

152. რა წესით აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი?

- ა. დებატების შედეგად დახურული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია;
- ბ. დებატების გარეშე დახურული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია
- გ. დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია;
- დ. პირდაპირ ირჩევს საქართველოს მოსახლეობა .

სწორი პასუხია: გ

153. რა მიზნით ნიშნავს მთავრობა სახელმწიფო რწმუნებულებს?

- ა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე კონტროლის დასამყარებლად
- ბ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად;
- გ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე თვითმმართველობის გასაძლიერებლად;
- დ. ინფორმაციის უკეთესი გაცვლისთვის ცენტრსა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს შორის.

სწორი პასუხია: ბ

154. შეიძლება თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა?

- ა. კი, თუ თანამდებობის დაკავებიდან 30 წელი არის გასული;
- ბ. კი, მხოლოდ, მეორე ვადით;
- გ. კი, რამდენჯერაც სურვილი ექნება თავად მოსამართლეს;
- დ. არა.

სწორი პასუხია: დ

155. რა წესით აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

- ა. კსაკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 10 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს;
- ბ. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს;

- გ. საქართველოსპარლამენტი 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს;
- დ. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 30 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

სწორი პასუხია: ბ

156. ვინ შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში?

- ა. 20 წევრი და მთავარი პროკურორი;
- ბ. 14 წევრი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
- გ. **14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;**
- დ. 15 პარლამენტის წევრი.

სწორი პასუხია: გ

157. ვინ ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს?

- ა. **საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო;**
- ბ. საქართველოს მთავრობა;
- გ. საქართველოს პარლამენტი;
- დ. საქართველოს პრეზიდენტი.

სწორი პასუხია: ა

158. რა წესით აირჩევა გენერალური პროკურორი?

- ა. საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ნიშნავს იუსტიციის მინისტრი;
- ბ. საპროკურორო საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი;
- გ. საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- დ. **საპროკურორო საბჭოს წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.**

სწორი პასუხია: დ

159. რამდენი წევრისგან შედგენა საპროკურორო საბჭო?

- ა. 10;
- ბ. **15;**
- გ. 21;
- დ. 5.

სწორი პასუხია: ბ

160. სად არის სავალდებულო შესასრულებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება?

- ა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
- ბ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა დედაქალაქისა;

გ. შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე დარეგისტრირებული მოქალაქეების ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილებზე;

დ. შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

სწორი პასუხია: დ

161. ვის აქვს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის წარდგენის უფლება?

ა. პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან არანაკლებ 10 000 ამომრჩეველს;

ბ. პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან არანაკლებ 200 000 ამომრჩეველს;

გ. საქართველოს პრემიერ-მინისტრს;

დ. პარლამენტის წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას ან არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.

სწორი პასუხია: ბ

162. რა შემთხვევაში ითვლება კანონი მიღებულად?

ა. თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი;

ბ. თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა;

გ. თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედი, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი;

დ. კანონის მისაღებად კენჭისყრა საჭირო არ არის.

სწორი პასუხია: ა

163. რა შემთხვევაში ჩაითვლება მიღებულად ორგანული კანონი?

ა. თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედი, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი;

ბ. თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედი, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი;

გ. თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული ორგანული კანონის მიღების სხვა წესი;

დ. ორგანული კანონი მიღებულად ითვლება კენჭისყრის გარეშე.

სწორი პასუხია: გ

164. როდის შედის კანონი ძალაში?

ა. ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე;

ბ. ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი;

- გ. ის ძალაში შედის მიღებისთანავე;
- დ. ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან ერთ თვეში, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

სწორი პასუხია: ბ

165. შესაძლებელია თუ არა პარლამენტის წევრის გაწვევა?

- ა. დიახ, შესაძლებელია;
- ბ. დიახ, შესაძლებელია, თუ ის გარდაიცვლება;
- გ. დიახ, შესაძლებელია, თუ ის დანაშაულს ჩაიდენს;
- დ. არა, პარლამენტის წევრის გაწვევა დაუშვებელია.

სწორი პასუხია: დ

166. შეიძლება თუ არა პარლამენტის წევრი ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას?

- ა. დიახ, შეიძლება, თუ სამეწარმეო საქმიანობა დაწყებულია პარლამენტში მის არჩევამდე;
- ბ. არ აქვს უფლება.
- გ. დიახ, აქვს უფლება, მაგრამ გააჩნია სამეწარმეო საქმიანობის სფეროს;
- დ. დიახ, შესაძლებელია, თუ ია პარლამენტში მის საქმიანობას ხელს არ უშლის;

სწორი პასუხია: ბ

167. რამდენჯერ იკრიბება საქართველოს პარლამენტი?

- ა. წელიწადში ორჯერ, საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებზე;
- ბ. წელიწადში ერთხელ;
- გ. წელიწადში ოთხჯერ: საშემოდგომო, ზამთრის, საგაზაფხულო და ზაფხულის სესიებზე;
- დ. ორ წელიწადში ერთხელ.

სწორი პასუხია: ა

168. რა ვადაში აწერს ხელს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი კანონებს?

- ა. 1 კვირის ვადაში;
- ბ. 10 დღის ვადაში;
- გ. 3 კვირის ვადაში;
- დ. 2 კვირის ვადაში.

სწორი პასუხია: დ

169. აქვს თუ არა მთავრობის წევრს უფლება, ეკავოს პარტიული თანამდებობა?

- ა. არა, დაუშვებელია;
- ბ. არა, თუ ეს ოპოზიციური პარტიაა;
- გ. დიახ, აქვს;
- დ. არა, თუ ეს მმართველი პარტიაა.

სწორი პასუხია: გ

170. ვინ შეიძლება გახდეს ვიცე-პრემიერი?

- ა. პარლამენტის წევრი;
- ბ. ერთ-ერთი მინისტრი;
- გ. მოსამართლე;
- დ. კონკურსის წესით შერჩეული მოქალაქე.

სწორი პასუხია: ბ

171. რომელი წლის აქტით არის საქართველოს დამოუკიდებლობა განსაზღვრული?

- ა. 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით;
- ბ. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით;
- გ. 1991 წლის 31 მარტის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით;
- დ. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

სწორი პასუხია: ა

172. როდის იმართება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა?

- ა. პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე 2 დღით ადრე;
- ბ. პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე;
- გ. პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა.
- დ. პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა;

სწორი პასუხია: გ

173. ვინ ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს?

- ა. ხალხი;
- ბ. პარლამენტი;
- გ. პრემიერმინისტრი;
- დ. პრეზიდენტი.

სწორი პასუხია: ბ

174. როდის ტარდება პარლამენტის მორიგი არჩევნები?

- ა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს
- ბ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ნოემბრის პირველ შაბათს;
- გ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის დეკემბრის ბოლო შაბათს;

დ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის პირველ შაბათს.

სწორი პასუხია: ა

175. რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის დროს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა გამოცხადდება?

- ა. კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება 2 დღით;
- ბ. კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეწყდება და აღარ გაგრძელდება;
- გ. **კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე;**
- დ. კონსტიტუციური კანონის პროექტის უკან დაუბრუნდება ინიციატორებს;

სწორი პასუხია: გ

176. ვინ აწერს ხელს და აქვეყნებს კონსტიტუციურ კანონს?

- ა. ხალხი;
- ბ. **პრეზიდენტი;**
- გ. პრემიერმინისტრი;
- დ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

სწორი პასუხია: ბ

177. რომელი სათათბირო ორგანო იქმნება საომარი მდგომარეობის დროს?

- ა. **ეროვნული თავდაცვის საბჭო;**
- ბ. ეროვნული საომარი კომისია;
- გ. ეროვნული უშიშროების საბჭო;
- დ. საზოგადოებრივი პალატა.

სწორი პასუხია: ა

178. ვინ თავმჯდომარეობს ეროვნული თავდაცვის საბჭოს?

- ა. შინაგან საქმეთა მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ერთად;
- ბ. თავდაცვის მინისტრი;
- გ. პრემიერმინისტრი;
- დ. **პრეზიდენტი.**

სწორი პასუხია: დ

179. ვინ იღებს გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ?

- ა. პრეზიდენტი;
- ბ. **პრემიერმინისტრი;**

გ. თავდაცვის მინისტრი;

დ. პარლამენტი.

სწორი პასუხია: ბ

180. ვინ იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ?

ა. შინაგან საქმეთა მინისტრი პრეზიდენტის წარდგინებით;

ბ. თავდაცვის მინისტრი მთავრობის წარდგინებით;

გ. პრემიერმინისტრი პრეზიდენტის წარდგინებით;

დ. **პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.**

სწორი პასუხია: დ

181. ვინ გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს?

ა. პრეზიდენტი;

ბ. პარლამენტი;

გ. **საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით;**

დ. პრემიერმინისტრი თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

სწორი პასუხია: გ

182. როდიდან შედის ძალაში დეკრეტი?

ა. **გამოცემის მომენტიდან;**

ბ. გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს;

გ. გამოქვეყნების მომენტიდან;

დ. გამოცემიდან მე-15 დღეს.

სწორი პასუხია: ა

183. რა ვადით აირჩევა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, გენერალური აუდიტორი?

ა. 10 წლის ვადით;

ბ. 7 წლის ვადით;

გ. **5 წლის ვადით;**

დ. სამუდამოდ.

სწორი პასუხია: გ

184. ვის ემორჩილება საქართველოს პროკურატურა?

ა. საქართველოს პრეზიდენტს;

ბ. **მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს**

გ. საქართველოს იუსტიციის მინისტრს;

დ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

სწორი პასუხია: ბ

185. რამდენი წლის ვადით ინიშნება საერთო სასამართლოს მოსამართლე?

- ა. 10 წლის ვადით;
- ბ. 20 წლის ვადით;
- გ. უვადოდ;
- დ. 5 წლის ვადით.

სწორი პასუხია: გ

186. რამდენი ვადით შეიძლება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა?

- ა. ორჯერ;
- ბ. სამჯერ;
- გ. ხუთჯერ;
- დ. ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

სწორი პასუხია: დ

187. რა წესით ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას?

- ა. საკანონმდებლო ზედამხედველობის გზით;
- ბ. მართლმსაჯულების გზით;
- გ. საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით;
- დ. საერთოდ არ ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას.

სწორი პასუხია: გ

188. რომელი ორგანოს ფუნქციაა მოსამართლეთა დანიშვნა და გათავისუფლება?

- ა. იუსტიციის საბჭო;
- ბ. მთავრობის ადმინისტრაცია;
- გ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- დ. იუსტიციის სამინისტრო.

სწორი პასუხია: ა

189. ვინ უნდა წარუდგინოს პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი?

- ა. სახალხო დამცველმა.
- ბ. სახელმწიფო ხაზინამ;
- გ. პრეზიდენტმა;
- დ. მთავრობამ;

სწორი პასუხია: დ

190. რა ვადაში უნდა იქნეს ბიუჯეტის პროექტი წარდგენილი პარლამენტში?

- ა. საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 1 თვისა;
- ბ. საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა;

- გ. საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 კვირისა;
- დ. საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არაუგვიანეს 2 თვისა.

სწორი პასუხია: ბ

191. ვისი თანხმობა სჭრდება პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილების შესატანად?

- ა. პრეზიდენტის;
- ბ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის;
- გ. მთავრობის;
- დ. სახალხო დამცველის.

სწორი პასუხია: გ

192. ვინ აწერს ხელს და აქვეყნებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს?

- ა. პრეზიდენტი;
- ბ. პარლამენტის თავმჯდომარე;
- გ. პრემიერმინისტრი;
- დ. იუსტიციის მინისტრი.

სწორი პასუხია: ა

193. ჩამოთვლილთაგან რა გზით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა?

- ა. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით;
- ბ. საკრებულოს გადაწყვეტილებით;
- გ. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით;
- დ. მხოლოდ კანონით.

სწორი პასუხია: დ

194. რა წესით აირჩევა ეროვნული ბანკის საბჭო?

- ა. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პრემიერმინისტრი;
- ბ. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი;
- გ. საქართველოს პრემიერმინისტრის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი;
- დ. სახალხო დამცველის წრდგინებით ირჩევს პარლამენტი.

სწორი პასუხია: ბ

195. რამდენი წლით აირჩევიან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები?

- ა. 10 წლის ვადით;
- ბ. 20 წლის ვადით;
- გ. 7 წლის ვადით;
- დ. უვადოდ.

სწორი პასუხია: გ

196. ეროვნული ბანკის რომელი ხარჯები ექვემდებარება ზედამხედველობასა და კონტროლს?

- ა. მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები;
- ბ. არცერთი ხარჯი;
- გ. აბსოლუტურად ყველა ხარჯი;
- დ. მხოლოდ კაპიტალური ხარჯები.

სწორი პასუხია: ა

197. რატომ შეიძლება იქნას შემოღებული სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა?

- ა. დაუშვებელია ამ თანამდებობის შემოღება;
- ბ. განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად;
- გ. თუ რომელიმე მინისტრი ვერ ართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებებს;
- დ. პრემიერმინისტრის მოვალეობის შესასრულებლად მისი არყოფნის შემთხვევაში.

სწორი პასუხია: ბ

198. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ვისი უფლებამოსილებაა სახელმწიფო ჯილდოების და პრემიების, უმაღლესი სამხედრო, სპეციალური და საპატიო წოდებების, უმაღლესი დიპლომატიურ რანგების გაცემა?

- ა. პრემიერმინისტრის;
- ბ. პარლამენტის;
- გ. პრეზიდენტის;
- დ. მთავრობის.

სწორი პასუხია: გ

199. წელიწადში რამდენჯერ წარუდგენს პრეზიდენტი პარლამენტს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე?

- ა. ერთხელ;
- ბ. სამჯერ;
- გ. ორჯერ;
- დ. არცერთხელ.

სწორი პასუხია: ა

200. ვინ ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში?

- ა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- ბ. მთავრობა;
- გ. პრეზიდენტი;

დ. სახალხო დამცველი.
სწორი პასუხია: ბ